

ტერმინის „პრი საზეპურო“ ინტერპრეტაციისათვის

იაკობ ხუცესის თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „წამებად წმიდისა დედოფლისა შუქანიისი“ მოგვითხრობს, რომ საპყრობილეში მყოფი მომაკვდავი წმიდა შუქანიის სანახავად და მასთან გამოსამშვიდობებლად „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპური დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“ (23, 27). აქ ხსენებული სიტყვა „ზეპური“ სამეცნიერო ლიტერატურაში (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ი. აბულაძე, მ. ანდრონიკაშვილი) სოციალურ ტერმინადაა მიჩნეული. იგი VI-VII საუკუნეებში ქართულად ნათარგმნ, ძირითადად სომხურიდან ნათარგმნ თხზულებებშიც დასტურდება. X-XIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში, აგრეთვე ბიბლიის ქართულ თარგმანებში, „ზეპურისაგან“ ნაწარმოები ზედსართავი სახელი „საზეპურო“ საკმაოდ ხშირად გამოიყენება, თუმცა მას სოციალური ფუნქცია აღარ აქვს. „ზეპურისა“ და „საზეპუროს“ გააზრებისათვის ყურადღება უნდა მიექცეს ორ პრობლემას: 1. ამ ტერმინთა ეტიმოლოგია-წარმომავლობას და 2. მათ ინტერპრეტაციას, რაც, ცხადია, ეტიმოლოგიაზეც არის დამოკიდებული. „წმიდა შუქანიის წამებაში“ დამოწმებული ეს ტერმინი სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა წარმომავლობის სიტყვად არის გააზრებული. მეცნიერთა ნაწილი „ზეპურსა“ და „საზეპუროს“ ეტიმოლოგიურად სპარსული ენიდან მომდინარე ტერმინად მიიჩნევს, ნაწილი ქართული წარმომავლობის სიტყვად აღიქვამს.

სულხან-საბა ორბელიანმა ტერმინ „საზეპუროს“ სოციალურ ფუნქციასთან ერთად სიმბოლური დატვირთვაც მიანიჭა და იგი ზეცის პურისმტედ განმარტა. აგრეთვე, მისი ლექსიკონის ვარიანტებში დამოწმებულია სიტყვა „უაღრესი“. ლექსიკოგრაფს მისი ეტიმოლოგიური წარმომავლობა არ მიუთითებია (12,30).

ნ. მარის შეხედულებით, „საზეპურო“ არის *собственный* ხოლო „ზეპური“, საიდანაც წარმოდგა იგი, ნიშნავს *сын дома, наследный княжич* (31, LXIV). მანვე აღნიშნა, რომ ქართულს ეს ტერმინი სპარ-

სულისაგან სომხურის საშუალებით უნდა ჰქონოდა შეთვისებული, სპარსულად იგი - „ვისპურ“ - სახლის შვილს ნიშნავს. მისი აზრით, სპარსული „სეკუპ“ და ქართული „სეფე“ სახლის მხოლოდ უფროსი შვილის აღმნიშვნელი იყო (32, 165-170). სომხურიდან ნათარგმნ თხზულებებში იგი „საკუთარს“ ნიშნავს.

ივანე ჯავახიშვილმა თავისი „ქართული სამართლის ისტორიის“ ორივე ტომში საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო და საგანგებოდ გამოიკვლია ტერმინები „ზეპური“ და „საზეპურო“. მან გაიზიარა ნიკო მარის თვალსაზრისი ტერმინთა სპარსულიდან მომდინარეობის შესახებ, ოღონდ უშუალოდ სპარსულიდან შემოსულად მიიჩნია და არა სომხურის გზით. იგი წერს: „ეს ტერმინი ქართულს სპარსულიდან უნდა ჰქონდეს ზეპირად შეთვისებული... ამ ტერმინის უცხო ენითგან შეთვისებულობის გამო ეს სიტყვა უეჭველია დიდ აზნაურთა გვარისშვილების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო“ (27, 173). ნ. მარის თვალსაზრისი, რომ სომხური „სეკუპ“ და ქართული „სეფე“ სახლის მხოლოდ უფროსი შვილის აღმნიშვნელია, ი. ჯავახიშვილმა არასწორად მიიჩნია და განაცხადა, რომ „ზეპური ღედანი“ ან „სეფე-ქალი“ და „სეფე-წული“ საგვარეულოს ყოველი წევრის, ყოველი გვარის-შვილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო“ (27, 173). მისი მოსაზრებით: „საზეპურო თავდაპირველად უნდა მართო „სეპუპრის“, ანუ წარჩინებული საგვარეულოს წევრის საკუთრების აღმნიშვნელი ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში, როდესაც „სეფე“ უკვე უფლის აღმნიშვნელ ტერმინად შეიქმნა, „საზეპურო“ წარჩინებული საგვარეულოს, თუ მისი თვითოეული წევრის საკუთრების აღმნიშვნელი უნდა გამხდარიყო, მერმინდელი „სასეფოს“ შესატყვისობა ყოფილიყო“ (28, 284). მან გამოთქვა ეჭვი, რომ „საზეპურო ზოგადი, მთელი მოსახლეობისათვის დაწესებული და „საკუთრების“ ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინი უნდა იყოს. VIII-IX საუკუნიდან მოყოლებული ეს ტერმინი თანდათან ქრება და მწიგნობრულ ტერმინად ხდება. შერჩენილია მხოლოდ ტერმინი „სასეფო“, რომელსაც პირადის მნიშვნელობა მიენიჭა. ადამიანის პირადი საკუთრების აღსანიშნავად „საზეპუროს“ „საკუთარმა“ სძლია“ (28,284).

მ. ანდრონიკაძემ კილმა განიხილა ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებანი საზეპუროსა და ზეპურის შესახებ. გაიზიარა ნ. მარის თვალსაზრისი და დაასკვნა, რომ „ეს არშაკიდული ფალაური სიტყვაა. შემოსული ქართულში სომხურის გზით“ (4, 243-250). მან დაიმოწმა ა. მელიქს თვალსაზრისი, რომლის გათვალისწინებით იმ აზრამდე მივიდა, რომ „დაბოლოება ნამდვილად ჩრდილო დასავლური ფორმაა, ოღონდ პირველი ტერიტორია გაურკვეველია, რადგან შეუძლებელია იქ ლავინასით „ვის“ - როგორც ეს უნდა ნ. მარს, მისი გარკვევა შეუძლია მხოლოდ ჩრდილო-დასავლური დიალექტის შემდგომ შესწავლას“ (4, 243).

„ზეპურისა“ და „სეფეს“ მნიშვნელობათა და ეტიმოლოგიათა პრობლემას შეეხნენ ს. ჯანაშია, ვ. თოფურია, ნ. ბერძენიშვილი, ი. აბულაძე, გ. მელიქიშვილი, ა. ნოვოსელცკი, ნ. აღონცი, ა. ბოგვერაძე, ზ. ალექსიძე, გ. მამულია და სხვ.

ს. ჯანაშია (29, 165-166), ვ. თოფურია (29, 165-166), ერთხანს ნ. ბერძენიშვილიც (6, 373), ზ. ალექსიძე (3, 156-180) „ზეპურს“ სეფესთან არ აკავშირებდნენ, მათ სეფე იმავე წარმომავლობის სიტყვად მიაჩნიათ, როგორცაა ქართულში სეფელი//სოფელი, მეუფე//მეფე, უფალი. ნ. ბერძენიშვილი მოგვიანებით ნ. მარის თვალსაზრისისაკენ გადაიხარა (5, 424). გ. მელიქიშვილი „ზეპურისა“ და „სეფეს“ კავშირს არ გამორიცხავს, თუმცა „ზეპური“ სპარსული წარმომავლობის სიტყვად მიაჩნია. ა. ბოგვერაძის აზრით, „სეფეს“ დაკავშირებას სომხურ „სეპუქთან“ მყარი საფუძველი არ აქვს. მათ შორის, მართალია, გარეგნული მსგავსება არის, მაგრამ სემანტიკური კავშირი არ ჩანს. მისი სოციალური და სემანტიკური შესატყვისი ქართულ ენაზე, მართლაც „ზეპური“ უნდა იყოს“ (7, 142-143). მოგვიანებითაც იგივე განაცხადა: „საფიქრებელია, რომ „ზეპური“ უკავშირდებოდეს „სეპუქ“-ს და არა „სეფე“ (8, 110-111). ამის დასტურად შეიძლება იღია აბულაძის მოსაზრების დამოწმება. მან აღნიშნა, რომ „წმიდა შუშანიკის წამების“ „ზეპურის“ ადგილას სომხურ მოკლე თარგმანშიც გვაქვს „ზეპურნი“, ხოლო „ატომის და მისი ძის მარტვილობის“ ქართულ ენაზე მთარგმნელს სომხური „სეპუქ“ ქართულ ენაზე გადმოაქვს, როგორც „ზეპური“ (1, 98). ნ.

მარის აზრით, „ზეპური“ კავშირში უნდა იყოს სომხური „სეპუპ“-თან და ირანულ „vispuhr“-თან (33, 468). „სეფესა“ და „ზეპურის“ ერთმანეთის გვერდით გამოყენება და მათი შინაარსობრივი გამოჯენა ძველი ქართული და სომეხი მწერლების მიერ ამის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს. ა. ბოგვერაძის აზრით, „ზეპური დამახინჯების შედეგი კი არ არის, არამედ, ჩანს, სწორედ „სეფეს“ გველენით (მისგან განსხვავებულად) ერთგვარად სახეცვლილი“ (7, 143). მკვლევარს საკითხი საბოლოოდ გარკვეულად მაინც არ მიაჩნია და, მისი ვარაუდით, იგი შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ზ. ალექსიძემ შენიშნა, რომ „სეფე-წულს“ განვითარების სხვადასხვა საფეხური აქვს გავლილი და იგი საუკუნეთა მანძილზე იცვლიდა მნიშვნელობას (3, 179-180). როგორც ჩანს, განვითარების ასეთივე რთული გზა განვლია მნიშვნელობის ცვალებადობის თვალსაზრისით „ზეპურმა“, როგორი ეტიმოლოგიური ახსნაც არ უნდა მოვეძებოთ მას (და „საზეპუროს“). ზ. ალექსიძე „სეფე-წულის“ სემანტიკური ცვლილებების დაკვირვების საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მან საუკუნეთა მანძილზე მნიშვნელობა შეიცვალა და თავდაპირველი სემანტიკური ფუნქცია დაკარგა; იგივე შეიძლება ითქვას „საზეპუროს“ შესახებ.

„ზეპური“ V-VII საუკუნეების ორიგინალურ თუ სომხურიდან ნათარგმნ თხზულებებში არის სოციალური ტერმინი და იგი დიდგვაროვანთა აღმნიშვნელია. ეს სახელი X-XIII საუკუნეების ძეგლებში აღარ გვხვდება, ხოლო მისგან ნაწარმოები ზედსართავი სახელი „საზეპურო“, რომელიც საკმაოდ გავრცელებული ჩანს ამ დროის მწერლობაში, კარგავს სოციალური ტერმინის ფუნქციას და სიმბოლურ დატვირთვას იძენს, თუმცა სემანტიკურად კვლავ რჩეულის მნიშვნელობას ინარჩუნებს.

საზეპუროს მნიშვნელობის განსაზღვრაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ბიბლიის ქართული თარგმანის მონაცემებს, რომელთა მიხედვით საზეპუროდ ისრაელია მიჩნეული. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ძველ ქართულ თარგმანებში არსებული მონაცემებიც. გამოსლვათა, II შჯულისა და I მეფეთა წიგნებში ისრაელი მოიხსენიება საზეპუროდ: „და აწ უკუეთუ სმენით ისმინოთ ხმისა ჩემისა და დაიცვათ აღთქემანი ჩემი, იყვნეთ ჩემდა ე რ ს ა ზ ე პ უ რ ი ი ყოველთაგან ნათესავთა, რამეთუ

ჩემი არს ყოველი ქვეყანაი“ (გამოსლ. 19,5); „ხოლო უფალმან არა განიშოროს ერი თუისი სახელისა მისისათუის დიდისა, რამეთუ შეგიწყნარნა თქუენ უფალმან და გამოვირჩივნა თქუენ ე რ ა დ ს ა ზ ე პ უ რ ო დ“ (I მეფ. 12,22); „რამეთუ ერი ეგე წმიდა ხარ უფლისა ღმრთისა შენისა და შენ პირველად გამოვირჩია უფალმან ღმერთმან შენმან, რათა იყო შენ მისა ე რ ა დ ს ა ზ ე პ უ რ ო დ ყოველთა უფროს ნათესაეთა, რამელნი არიან პირსა ზელა ქუეყანისასა“ (II შჯ. 6,7). II შჯულისა და I მეფეთა წიგნების ქართული თარგმანის ყველა რედაქცია ს ა ზ ე პ უ რ ო დ მ ი ი ჩ ნ ე ვ ს ე ბ რ ა ე ლ ე რ ს. ებრაული და ბერძნული ტექსტების შესადამისი მუხლების მიხედვით ჩანს, რომ ამ სიტყვას რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება, II შჯულის წიგნში მისი შესატყვისია „შენს ძეებს“, ხოლო I მეფეთაში -- იაკვეს ხალხს. ჩანს, რომ ქართულ ტექსტში ქართული მთარგმნელების მიერ გამოყენებულ თავისუფალ მთარგმნელობით მეთოდთან უნდა გვქონდეს საქმე. რაც შეეხება გამოსლუათა წიგნის ზემოთ მოხმობილ მუხლს, ძველ ქართულ რედაქციებში, კერძოდ ოშკურსა და გელათურში, „საზეპურო“ არ დასტურდება, მის ნაცვლად იკითხება: „იყენეთ ერად ჩემდა“. ასევე აპოსტოლურ თხზულებაშიც: „იტყუის უფალი: მიესცნე შჯულნი ჩემნი გონებათა მათთა, და გელთა მათთა ზელა გამოვწერნე იგინი: და ვიყო მე მათა ღმრთად, და იგინი იყვნენ ჩემდა ე რ ა დ“ (ებრ. 8, 10). „ს ა ზ ე პ უ რ ო ე რ ი“ დასტურდება ბიბლიის ორ ხელნაწერში – A-179, 1669 წლისა, გამოცემით – C რედაქცია, და A-51, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნისა, მცხეთური ხელნაწერი, რომელიც საბას რედაქციადაა ცნობილი, გამოცემით – S რედაქცია. ებრაულ ტექსტში საზეპურო შეესაბამება სიტყვას „segilla“ ღმერთის ძვირფასი საკუთრება. ბერძნულში λαοὺ περιουσιοῦ.

გამორჩეული, საუკეთესო, აღმატებული, არაჩვეულებრივი ხალხი. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბიბლიის ქართული თარგმანი ბერძნულიდან შესრულებული უნდა იყოს. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა საბასეულ რედაქციაში შეტანილი შესწორების წარმომავლობა, იგი ითვალისწინებს ბერძნული ტექსტის მონაცემებს, თავის მხრივ,

ბერძნული ებრაულის აღქვატურია. ხელნაწერში შესწორებები საბას ხელითაა შეტანილი, იგი რედაქციული შესწორების დონეს სცილდება. „მცხეთური ხელნაწერის“ გამოცემას დართულ გამოკვლევაში ელ. დონანაშვილმა შენიშნა, რომ „მცხეთური ხელნაწერის უმეტესი ნაწილი რომ, მართლაც, ქართული ბიბლიის არქაულ და XI-XIII საუკუნეებში ბერძნული ენიდან ნათარგმნ და ბერძნულთან შეჯერებულ უწინდელ ვერსიებს განეკუთვნება, დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში ეჭვს არ იწვევს“ (10,5). იქვე აღნიშნულია ისიც, რომ „გამოსლუათა“ წიგნის თარგმანში სხვადასხვა ხარისხი განირჩევა: „XIII-XXX თავებში ბერძნულის გავლენა გაცილებით უფრო საგრძნობი ხდება. ამრიგად, აქ საქმე გვაქვს ბერძნული ტექსტიდან თარგმნის სხვადასხვა ხარისხთან“ (10,10). ბ. გიგინეიშვილის ნაშრომში „ხუთწიგნეულის ქართული ვერსიები“ (25,16-17) განმტკიცებულია ადრე გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საბა ეყრდნობოდა ბიბლიის ოშკურ და გელათურ რედაქციებს: „ხუთწიგნეულზე მუშაობის პროცესში საბა, როგორც ჩანს, ძირითადად იყენებდა A (H-1207) და C(A-179) ხელნაწერებს, რომლებიც ორბელიანთა ოჯახიდან არის გამოსული“ (25,33). „როგორც ცნობილია, საბასეული ხელნაწერი რედაქციული შედგენილობის თვალსაზრისით ნაირგვარია. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ სულხან-საბა ორბელიანი დეფექტურ ნაწილებს ავსებდა სულ სხვადასხვა ტიპის ხელნაწერებით, რომელთაგან ზოგი ძალიან ძველი ჩანს, ზოგი კი -- ნაკლებ ძველი“ (25,33). ბ. გიგინეიშვილის აზრით, გამოსლუათა და რიცხვთა წიგნები S რედაქციაში დამოუკიდებელია. საბამ ქართული ტექსტი დაუახლოვა ბერძნულს, რასაც ხსენებულ მუხლში „იყენეთ ე რ ა დ ჩ ე მ დ ა“-ს ნაცვლად „ი ყ ვ ნ ე თ ჩ ე მ დ ა ე რ ს ა ზ ე პ უ რ ო ი ს“ გამოყენებაც ადასტურებს. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მომდევნო მუხლი საზეპურო ერის განმარტებასაც შეიცავს: „ხოლო თქუენ იყენეთ ჩემდა სამეუფო, მღდღელობა, ნათესავ წმიდა. ესე სიტყუანი კრქუნე ძეთა ისრაელისათა“ (გამოსლვ. 19,6).

ქართველმა მთარგმნელებმა და რედაქტორებმა ტერმინს თავისთავად მნიშვნელობასთან ერთად ებრაულსა და ბერძნულ ტექსტებში შემონახული სიღრმე და სიმბოლურობა შეუნარჩუნეს.

ასევეა საზეპურო გააზრებული „ნეკმირებულ ძლისპირთა“ კრებულში მოთავსებულ ერთ საგალობელშიც: „შეიწყნარა ახალი ისრაელი მონაი თუისი, ერი წარმართთაი, სადმოთოითა სისხლითა მოგებული, ყო ერ საზეპურო (ვარიანტით: საზეპორო) თაკისა თუისისა, რომელთა მიერ იხარებს თუით თავადი უფალი ქმნულთა თუისთა ზედა, რამეთუ ვართ ჩუენ თაკისუფალ აზნაურებითა მით, რომლითა ქრისტეჲმან განგუაზნაურნა ჩუენ მობითა ქაღწუელისაგან, ამას ყოველნი გალობით ვადიდებდეთ“ (11, 535, 869). „მატბერდის კრებულში“ მოთავსებულია ბასილი კესარიელის თხზულება „მხეცთათუის სახისა სიტყუაი“, რომელშიც ასევე ებრაელი ხალხია საზეპუროდ მიჩნეული: „და უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტეჲმან შეგუიყუარნა ჩუენ, რომელნი ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა ვიყვენით ერი წარმართთაი უფროის კიდრე ჰურიათაი, რომელთა შვილები ზედა ეჯვა და საზეპურობაი“ (21, 178). იოანე ოქროპირის საკითხაჲში, რომელიც „უდაბნოს მრავალთაჲშია“ შეტანილი, საზეპურო კვლავ იმავე მნიშვნელობითაა დატვირთული: „ესე არს, რომელმან გამოგუიყვანნა ჩუენ მონებისაგან აზნაურებად, ბნელისაგან – ნათლად, სიკუდილისაგან – ცხოვრებად, განდგომილებისაგან – სასუფეველსა საუკუნესა და მყვნა ჩუენ სამღვდლო ახალ და ერი საზეპურო, რაითა მისსა დიდებასა მარადის ვადიდებოდით“ (17, 201).

სამეცნიერო ლიტერატურაში „საზეპუროს“ მნიშვნელობის შესახებ ერთნაირი აზრია გამოთქმული. ივანე ლოლაშვილმა საბასეული განმარტება გაიზიარა: „ზეციური პური სმტე; ერ საზეპუროდ ხარ 52,1, შენ ხარ საზეპურო ერი სწევრთაგანი, ღვთიური პურისა და მადლის მოზიარე“ (22, 283). ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით, იგი საკუთარია, მისია, რასაც ადასტურებენ II შჯულისა და I მეფეთა წიგნების ებრაული და ბერძნული ტექსტების მონაცემები (2, 357). ს. ყაუხჩიშვილის შედგენილ ლექსიკონში, რომელიც „ქართლის ცხოვრებას“ ერთვის, აგრეთვე, გაზიარებულია საბას განმარტება და ერი საზეპურო „ღუთის მიერ ამორჩეულად“ არის მიჩნეული (18, 450). „ქართული პოეზიის“ პირველ ტომს დართულ ლექსიკონში სარგის ცაიშვილმა ილია აბულაძისეულ განმარტებას – „მისი, საკუთარი“ –

„დეთისაგან ამორჩეული“ დაუმატა (20, 360). „უდაბნოს მრავალ-თავს“ დართულ ლექსიკონში ზურაბ ჭუმბურიძემ საზეპურო განმარტა, როგორც საუფროსო, უფროსობის ღირსი (17, 324). ზურაბ სარჯველაძემ საზეპურო თავისუფლებად განმარტა (15, 173).

ვალკე უნდა გამოიყოს ბეჟან კილანავას განმარტება იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამებაში“ დამოწმებული „ზეპურნი დედანის“ შესახებ. მან „ზეპური“ ლექსიკოგრაფიულ-ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ქართველური ენების ისტორიულ კუთვნილებად მიიჩნია და ქართველურ ენებში, კერძოდ მეგრულში გავრცელებულ მნიშვნელობას დაუკავშირა. მან აღნიშნა, რომ იაკობ ხუცესის მიერ გამოყენებული „ზეპური“ „მარტივფუძიანი ქართული სიტყვაა, რომელიც მოჭარბებული სიმდიდრის, სიუხვის ქონას, მფლობელობას გამოხატავს. ეს მნიშვნელობა კარგად ესადაგება „შუშანიკის წამების“ კონტექსტს, სადაც „დედანი ზეპურნი“ სწორედ თაყიანთი „ზეპურობითაა გამორჩეული ჩვეულებრივი აზნაურებისაგან“ (9, 157).

უფიქრობთ, ეს თვალსაზრისი უმართებულოა, რადგან „ზეპურის“ ამგვარი განმარტების საშუალებას – ქართველურ „ზეპ“ ძირთან მისი დაკავშირება არ იძლევა არც იაკობ ხუცესის თხზულების კონტექსტი, არც ბიბლიური მონაცემები, არც X-XIII საუკუნეების ქართულ ძეგლებში ტერმინ „საზეპუროს“ გამოყენების შემთხვევები. იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამებასა“ და სომხურიდან ნათარგმნ თხზულებებში იგი სოციალური ტერმინია, რაც მეცნიერულადაა დასაბუთებული სპეციალურ ლიტერატურაში (ი. ჯავახიშვილი, ი. აბულაძე), ხოლო მოგვიანებით მან განსხვავებული, სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა და იდეოლოგიური ფუნქცია დაეკისრა.

„ერი საზეპურო“ ძველ ქართულ ტექსტებში იძენს ერის რჩეულობის გამოსატვის ფუნქციას, რაც მესიანური იდეის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. ლეონტი მროველის თხზულებაში კკითხელობთ: „ოი, დედაო ჩემო, არა უგულუბელ-ვყო ე რ ი ი გ ი ხ ა ზ ე პ უ რ ო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთუის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თანა-წარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დაღებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი

მკუიდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა“ (18, 38). უფლის მიმართუაში ეოვლადწმიდა ღუთისმშობლისადმი ქართველი ერი რჩეულად, საზეპუროდ მოიხსენიება. ასევე, ნიკოლოზ გულაბერისძე თაჱის ჰაგიოგრაფიულ თიზუელეჰაში „საკითხაჱი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოისა და კათოლიკე ეკლესიისა“ და საგალობელში „გალობანი სუეტისა ცხოველისანი“ ქართველ ერს საზეპუროს უწოდებს: „წინაისწარვე განეგო სახიერსა მას ამის სამეფოსა ე რ ა დ ს ა ზ ე პ უ რ ო დ შ ე მ ზ ა დ ე ბ ა ი და ვინაითგან ნაწილიცა იყო ეოვლად წმიდისა ღუთისმშობლისა, ამისთუის უფროისდა ღირს იქმნა ამას საშინელსა მადლსა ესე კედარი, ამისთუისცა უკუე წინასწარვე წარმოავლინა მადლი ღუთაეებისა მისისა, რათა პირველადვე დაიწინდოს კუართითა მით და მადლითა ღუთაეებისა მისისაითა“ (13, 77); „გიხაროდენ, მ ო მ გ ე ბ ე ლ ო ე რ ა დ ს ა ზ ე პ უ რ ო დ, ნ ა თ ე ს ა ვ ა დ წ მ ი დ ა დ და ს ა მ ე უ ფ ო დ!“ (16, 290). ნიკოლოზ გულაბერისძის სიტყუებიდან ჩანს, რომ ღმერთმა წინასწარ შეამზადა ქართველი ერი საზეპუროდ, ვინაიდან სწორედ აქ მოავლინა და ინახება უფლის კუართი, როგორც მადლი ღუთისა, ნიშანი ღუთისაგან ერის რჩეულობისა, და იგი ღუთისმშობლის წილხვედრილი გახადა.

ნიკოლოზ გულაბერისძის საგალობელთა მიხედუით, როგორც ძველი აღთქმის ეპოქაში ისრაელი იყო რჩეული ერი ღუთისა, გაქრისტიანების შემდეგ ღმერთმა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე რ ი გ ა მ ო ა რ - ჩ ი ა „ე რ ა დ ს ა ზ ე პ უ რ ო დ“, რაც გამოიხატა საქართველოში, მცხეთაში, კერძოდ, სვეტიცხოვლის აღმართვის ადგილას, უ ფ ლ ი ს კ ვ ა რ თ ი ს და ფ ლ ვ ი თ, ხოლო შემდეგ ქვეყნის უპირველესი ტაძრის, „ცათა მობაძაჱი“ ტაძრის აგებით, რომელიც ღუთაებრივი ნათლითაა გაბრწყინებული. ღუთაებრივი ნათლის სვეტის ჩამოშუებით შეირჩა და გამოჩნდა უფლის კუართის სამკვიდრებელი ადგილი, რომელიც წმინდა ნინოს მოსვლამდე უჩინარი, უცნობი იყო. წმინდა ნინოს მინიშნებით, რაც მას ღმერთისაგან ეუწყა, მიკვლუულ იქნა უფლის კუართის დაფლვის წმინდა ადგილი ღუთის სახლის ასაგებად.

საზეპუროდაა მოხსენიებული ქართველი ერი ე.წ. „აბღულმესიანშიც“:

ბ ა ნ ა კ ა ლ ს ა ლ მ რ თ ი დ, ე რ ს ა ზ ე პ უ რ ო დ

ხარ ღმრთისმეტყველთა მათ ჭურვილთაგან (VII, 52,1) (22, 134);

ე.ი. ღრმად მჭკრეტელ, ღრმად მხედველ, მისტიკოს ღმრთისმეტყველთა მიერ ქართველი ერი საღმრთო კრებულად და მისგან გამორჩეულად არის აღიარებული.

„წმიდა დაკით და კონსტანტინეს წამების“ მეტაფრასული რედაქციის ანონიმი ავტორიც ქართველ ერს საზეპუროდ მიიჩნევს: „ხოლო მან უღმრთო მან (მურვან-ყრუ - ნ.ს.), რაჟამს ალალო მთავრობაი სპარსთა და არაბთაი, აღძრა ყოველივე თესლ-ტომი წარმართთაი მიშუებითა ღმრთისაითა სამხილებელად ცოდვათა ჩუენთა და განილაშქრა ქრისტიანეთა ზედა ე რ ს ა ა მ ა ს რ ჩ ე უ ლ ს ა და ს ა ზ ე პ უ რ ო ს ა და აღაოხრა და მოსრა და ტყუე ყო ქუეყანაი საბერძნეთისაი და სასომხითისაი ზღუამლე და მერმე მოეფინა, ვითარცა ღრუბელი ბნელისაი, სიმრავლითა, ვითარცა მკალი და მუძლი, არეთა ჩრდილოისათა და დაფარა პირი ქუეყანისაი“ (24,250).

ქართველი ერის საზეპუროდ მიჩნევის თვალსაზრისით განსაკუთრებული ღირებულებისაა არსენ ბულმაისიმიძის მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომლებიც მესიანური იდეით ღრმადაა გამსჭვალული. საქართველოს ეკლესიის ერთი უგამოჩინებულესი საჭეთმკყრობელი, კათალიკოსი არსენ ბულმაისიმიძე თავის საგალობლებში ქართველი ერის რჩეულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს – მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში დამკვიდრების ფაქტს გვაუწყებს. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოს დასაპყრობად მოადგნენ აღმოსავლეთიდან მაკმადიანური ტომები, რომლებიც მთელი სისასტიკით იბრძოდნენ ქრისტიანობის წინააღმდეგ. სწორედ ამ დროს შეახსენა არსებ ბულმაისიმიძემ ქართველ ერს თავისი მოვალეობა, ფუნქცია ქრისტიანული სამყაროს განაპირა ქვეყნისა, რომ იგი რჩეული, საზეპურო ერია და ღუთისაგან ბოძებულ „ნიჭს“ (ძველი ქართულით – საჩუქარი) დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. ქრისტეს ხელთუქმნელი

ხატის ქართლად მობრძანებაა ღვთისაგან ბოძებული უდიდესი საჩუქარი. ჰიმნოგრაფი ქართველ ერს მიმართავს: „იხარებდ დღეს, იხარებდ, ქართველთა სამეფოო, ერომორწმუნეთაო, რამეთუ არასადა უმრწემეს გყო შენ ქრისტეძან, არამედ მოგცა ხატი თუისი დიდებული, რომელი თუით მან დაჰბეჭდა პირითა თუისითა, უცვალებელი სახე განკაცებისა თუისისაი, გარდამოცემული პირშობისა მისგან, რომელი ღირსისა ანტონის ხელთაგან მსახურებული სიმდიდრედ წარუპარველად გიპყრიეს საუნჯედ უხილავად“ (16, 310). ქართველი ერის რჩეულობა იმითაც გამოიხატა, რომ იგი გახდა ღირსი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა. არსენ ბულმაისიმისძე ქართველ ხალხს ახალ ისრაელად, ახალ ერად, საზეპურო ერად იხსენიებს, რაც ერის ღვთისაგან რჩეულობას ნიშნავს.

ანტონ მარტყოფელმა, რომელიც შუამდინარეთიდან წამოვიდა ვითარცა ვარსკვლავი, შემდეგში მარტყოფს დამკვიდრებულმა, მწვალებელთაგან იხსნა მაცხოვრის ხატი და ქართველ ერს, ახალ ისრაელს დაუმკვიდრა საუნჯედ: „შუამდინარით ვარსკვლავი აღმოჰხედ დიდისა მთიებისა პავლეს ძიებად, პოი მამაო ანტონი, და საუნჯე მიიტაცე, რომელი ვერვინ წმიდათაგანმან შეუძლო შეძინებად, ღმრთიუქმნული ხატი ყოვლად წმიდაი, და ისრაელსა ამას ახალსა და უუნჯე, ქართველთა საერსა საზეპუროსა, ვინაიცა იდიდე ღმრთისა მიერ, ბრძენო, შემყუარებული მისი და აწ დაძინებასა შენსა წინაუძღუის დღეს მამათა მზე ანტონი“ (16, 310-311). არსენ ბულმაისიმისძემ „ახალი ისრაელი“, „ახალი ერი“, „ზეცისა ერი“, „საზეპურო ერი“ უწოდა სულიერად განახლებულ ქართველ ერს, რაც მესიანური იდეის უშუალო გამოხატულებაა.

ქართველი ერის რჩეულობის, საზეპურო ერად მიჩნევის იდეას აგვირგვინებს არსენის მიერ იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ქალაქთა მზემ – კონსტანტინეპოლმა მანდილზე, ტილოზე აღბეჭდილი სახე მაცხოვრისა (მანდილიონი) დაიმკვიდრა, ხოლო ქართლმა „კეცზე“ დატვიფრული ხატება მაცხოვრისა (კერამიონი): „ქალაქთა მზემან ტილოი, ხოლო ქართლმან კეცი დაიმკვიდრა სიმდიდრედ საცხოვრებელად“ (16, 320). ამრიგად, არსენ ბულმაისიმისძემ თავისი

საგალობლებით შემოგვინახა საუკუნეთა მანძილზე ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული ტრადიცია ქართველი ერის რჩეულობის შესახებ. ამგვარი ეროვნული სიამაყის გრძნობა, გამოვლენილი მესიანური იდეით, არაერთგზის გამოიხატა VIII-XIII საუკუნეების ქართული მწერლობის ძეგლებში, კერძოდ, იოვანე საბანისძის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გამოთქმულია თვლსაზრისი ბერძნებთან ქართველების შეთანატოლების შესახებ: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაი ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა... აჰა, ესერა ქართლისაცა მკვიდრთა აქუს სარწმუნოებაი და წოდებულ არს დედად წმიდათა“ (23, 55). მოგვიანებით, X საუკუნეში იოანე-ზოსიმეს საგალობელშიც აისახა ქართველი ერისა და ქართული ენის რჩეულობის იდეა. „ქებაიში“ ქართული ენა ქრისტეს ენადაა გამოცხადებული, ვინაიდან მეორედ მოსვლის ჟამს უფალი სწორედ ამ ენაზე განიკითხავს კაცობრიობას: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებელად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამის ენითა“ (20, 72), ე.ი. ქართული ენა მაცხოვარს – იესო ქრისტეს უშუალოდ და მჭიდროდ უკავშირდება.

მესიანური შეხედულებებით სავსეა ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. აკაკი ბაქრაძემ გამოყო მესიანიზმის რამდენიმე ნიშანი (19, 8-9), მაგრამ ჩამონათვალი არ არის სრული, ამიტომ საჭიროდ მივიჩნევთ ამ ნიშანთა სრულად დამოწმებას, ნიშნებისა, რომლებიც ერის არსებობისა და ცხოვრების მანძილზე თანდათანობით ივსებოდა: 1. საქართველოში, მცხეთაშია დაფლული ერის რჩეულობის უპირველესი სიმბოლო უფლის უკერველი, „ზეით გამოქსოვილი“, დაუნაწევრებლად ქართველთა წინაშე მოღწეული კვართი; ქართლში კვართის დამკვიდრებით ახალი ჟამი დადგა, დამთავრდა არმაზული ეპოქა და დაიწყო ქრისტიანული ეპოქა. კვართის დაუნაწევრებლობა სიმბოლოა ჭეშმარიტი ეკლესიის დაუნაწევრებლობისა. ე. ჭელიძის სიტყვით, „კვართის მფლობელი არის მტვირთველი იმ მისიისა, რაც ჭეშმარიტი ეკლესიური ერთიანობისათვის ბრძოლას გულისხმობს. ესაა იგივე ქრისტეუმოსილობა“ (26,8); ვფიქრობთ, უფლის კვართის საქართველოში დამკვიდრება მოასწავებს ქართული ეკლესიის,

ქართველი ერის, ზოგადად სრულიად საქართველოს უფლის კვართით მოსილობას; 2. საქართველოში ინახება ის სამსჭვალე, რომლითაც მაცხოვარი ჯვარზე იყო დამსჭვალული, და ის ფიცარი, რომელზეც დამსჭვალეს მაცხოვრის ფეხები; 3. საქართველოში ინახებოდა ელიას ხალენი, რომელიც უფლის კვართის ჩვენში დავანების წინასახედ მოიაზრება; 4. საქართველო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანაა; სიმბოლურად გვესახება ბიბლიის კომენტარებში აღნიშნული ფაქტი, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელი „მარიამ“, ზოგის შეხედულებით, არამეული. ზოგის თვალსაზრისით კი – ებრაული წარმომავლობის სიტყვა, ქალბატონს, ზეპურ დედას, იმედს, ამაღლებულს, განდიდებულს ნიშნავს (35, 446; 30, 454). სწორედ „ზეპური დედის“ წილხვედრილია საქართველო. აქვე დავიმოწმებთ ეფრემ მცირის გამონათქვამს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებით: „ცან, ვითარმედ ელლადელთა ხმითა დედლად ითქუმის ესე სახელი, ვითარმედ „ღმრთეებაი“ და მარია „დედოფლად“ ითარგმანების, ებრაულისაგან რაი ელლინურად გარდამოიღებოდის“ (A-689, 91 v. 14,221). ის მესიანური იდეა, რომელიც ბიბლიიდან მომდინარეობს იუდას ჩამომავლობის, იესიან-დავითიან-სოლომონიანების შესახებ (34,492), ქართულ წყაროებში ძალზე პოპულარულია და განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. 5. ქართული ეკლესია სამოციქულოა, საქართველოში ქრისტიანობა ქრისტეს მოციქულებმა იქადაგეს; 6. ბაგრატიონთა სამეფო დინასტია იესიან-დავითიან-სოლომონიანად არის მიჩნეული. ქართველი ბაგრატიონები ქრისტეს ნათესავეები და ჩამომავლები არიან, რაც ამ სამეფო დინასტიის განსაკუთრებულობას მოწმობს. ამის დასტური იყო ბაგრატიონთა სამეფო გერბზე ბიბლიური დავითის ქნარისა და შურდელის გამოსახვა. მეფეთა ბიბლიური ჩამომავლობა წინამძღოლობის სულითა და რწმენით მსჭვალავს ბაგრატიონთა საგვარეულოს. ისრაელიანთა წინამძღოლის, მხედარიმთავრის ისუ ნავეს მსგავსად, რომელიც მაცხოვრის წინასახედ მოიაზრება, ქართველი მეფეებიც ერს წინ უძღოდნენ არა მხოლოდ ომებში, არამედ მათი ლიტერატურული მემკვიდრეობაც მათივე გამორჩეულობის ნიშანი იყო. 7. საქართველოს სახელმწიფოებრივი

ერთიანობისა და ზეობის ჟამს – ქართველი მეფეები, მოყოლებული გიორგი პირველიდან, „მესიის მახვილად“ იწოდებოდნენ, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ ქართველები ქრისტეს მოძღვრების გამავრცელებელნიც იყვნენ და დამცველებიც; 8. ქართულ მწერლობაში დამკვიდრდა ტრადიცია ქრისტესთან ქართული ენის დაკავშირებისა, რის დასტურიცაა იოანე-ზოსიმეს ზემოხსენებული საგალობელი და გიორგი ათონელის ჰაგიოგრაფიული თხზულება მასში დაცული ცნობების გამო; 9. ყოველივე ამას ემატება მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის, „კეცხე“ დატვიფრული ხატის, კერამინის საქართველოში ჩამოტანა, რაც XII-XIII საუკუნეების ქართულ ჰიმნოგრაფთა, კერძოდ, იოანე ანჩელის, არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის შემკვიდრებაში აისახა.

მესიანური იდეის გააქტიურება განაპირობა ქართველი ერის საჭიროებამ, ეროვნული ცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებამ და ამაღლებამ, რაც საფუძვლად დაედო ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინებას, ქვეყნის გაერთიანებას, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, კულტურულ აღმავლობას. ქართველი ერის რჩეულობის იდეის წამოწევას ჰქონდა იდეოლოგიურ-პოლიტიკური მნიშვნელობა, რითაც, რასაკვირველია, იგი არ კარგავდა რელიგიურ ფუნქციას, ინარჩუნებდა მთავარ, თავდაპირველ დანიშნულებას, რომლითაც რელიგიური და იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიზნები ერთმანეთს იყო გადაჯაჭვული.

მესიანური იდეოლოგია, რომელიც არსობრივად კაცობრიობის მხსნელზეა ორიენტირებული, საქართველოში ეროვნულ კონცეფციად ჩამოყალიბდა, რომელსაც სპეციალური ტერმინი აქვს. „საზეპურო ერად“, ღვთის რჩეულ ერად ჩამოყალიბება უშუალოდ ქრისტიანობის დამკვიდრებას უკავშირდება, რაც მიუთითებს საქართველოში ეროვნული ცნობიერების მქონე საზოგადოების არსებობას. „საზეპურო ერის“ ცნება ერთდროულად გულისხმობს ქრისტიანული და ეროვნული ცნობიერების ერთიანობას.

ბიბლიურ მონაცემებსა და ქართულ ორიგინალურ ძეგლებზე დაკვირვების შედეგად ჩანს, რომ საზეპურო ერი სწორედ ღვთისაგან გამორჩეული ღვთის საკუთარი ერია და მას რელიგიურ-სიმბოლური

და პოლიტიკურ-იდეოლოგიური დატვირთვა აქვს, რასაც საბასეული განმარტება – „ზეცის პურისმტე“, ანუ ღვთაებრივი პურისა და მადლის მოზიარე, ზედმიწევნით ასახავს. ჩვენს მიერ დამოწმებული ტექსტების მიხედვით „საზეპურო ერად“ ებრაელები და ქართველები არიან მიჩნეულნი. ამ ტერმინთან დაკავშირებული ერის გამორჩეულობის, მესიანიზმის იდეა დამახასიათებელია არა მხოლოდ ქართული იდეოლოგიისათვის, არამედ ქრისტიანული და სხვა რელიგიური აღმსარებლობის ქვეყნებისთვისაც. ბიბლიის ქართული თარგმანის მონაცემები ეჭვსგარეშე წარმოაჩენენ ქართველ შემოქმედთა რელიგიური და მხატვრული აზროვნების სიღრმეს, თვით ტერმინის სიმბოლურ მნიშვნელობას, რაც ბიბლიის ქართველმა მთარგმნელებმა და რედაქტორებმა ქართული ენის ბუნებას შესანიშნავად მიუსადაგეს. ერის რჩეულობის იდეას ყველა ქვეყნის ლიტერატურაში საფუძველი ბიბლიამ ჩაუყარა.

ამრიგად, საქართველოში IV საუკუნიდან, ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადების დროიდანვე, თანდათანობით ჩამოყალიბდა მესიანური იდეა, რომელიც სამეფო იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილად იქცა. პოლიტიკური იდეოლოგიის უმთავრესი ღერძი იყო დინასტიურ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის აღუზიას ემყარება, როგორც ღვთიურ ცხებულებაზე მიმანიშნებელი, ხოლო ქრისტიანული სიწმიდეების ფლობით ცივილიზაციურ გეოპოლიტიკაში ჩართული საქართველო ახალ ერად, საზეპურო ერად, ზეცისა ერად მოეკლინა ქრისტიანულ სამყაროს. ქართულ ლიტერატურაში, საისტორიო თხზულებებში იდეოლოგიურ პრობლემათა აქცენტირება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წინსვლის საქმეს ემსახურებოდა და მომავლის პერსპექტივებს სახავდა. ქართველ ერს, საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური მრწამსი აკისრებდა ეროვნულ და სულიერ მისიას, რაც საღვთისმეტყველო, ისტორიული და მხატვრული ლიტერატურის წიაღში შექმნილი ტერმინით – „ერი საზეპურო“- წარმოჩნდა და გამოიხატა.

შენიშვნები

1. ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა, თბ., 1944.
2. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
3. ზ. ალექსიძე, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, №1.
4. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.
5. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964.
6. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966.
7. ა. ბოგვერაძე, ცვლილებანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973.
8. ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979.
9. ბ. კილანავა, ქართული დამწერლობისა და მწერლობის სათავეებთან, თბ., 1990.
10. მცხეთური ხელნაწერი, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. ღოჩანაშვილმა, თბ., 1981.
11. ნევერებული ძლისპირნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო გულნაზ კიენაძემ, თბ., 1982.
12. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, II, თბ., 1966.
13. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, ტფილისი, 1882.
14. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
15. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.
16. ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003.
17. უდაბნოს მრავალთავი, ა. შანიძისა და ზ. ჭუმბურიძის რედ., თბ., 1994.
18. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
19. ქართული მწერლობა, 5, აკაკი ბაქრაძის წინასიტყვაობით, თბ., 1988.
20. ქართული პოეზია, I, სარგის ცაიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1979.
21. შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.
22. ძველი ქართველი მებოტბენი, II, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1964.
23. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1964.
24. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1971.
25. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, I, შესაქმისაი, გამოსლუათაი; გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ც. კიკვიძემ, თბ., 1989.

26. ე. ჭელიძე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიიდან, საქართველოს საპატრიარქო, 1997, №1.
27. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I; თბულებანი, VI, თბ., 1982.
28. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II; თბულებანი, VII, თბ., 1994.
29. ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952.
30. Библейская энциклопедия, под. ред. Никифорова м. 1990.
31. Н.Я. Марр. Ипполит. Толкование Песни Песней, ТР.III, СПб.
32. Н.Я. Марр, Этимология двух терминов армянского феодального строя. ЗВО. IX. 1899.
33. Г.А. Меликишвили, К истории древней Грузии. ТБ., 1959.
34. Православная энциклопедия, V, М. 2002.
35. Словарь библейского Богословия, Брюссель, 1974.